ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

თვითმმართველი ქალაქის – ქუთაისის საკრებულოს თავმჯდომარის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

№ 898

ქალაქი ქუთაისი 9 აგვისტო 2012 წელი

ქალაქ ქუთაისში, 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებში მონაწილე
სუბიექტებისათვის წინასაარჩევნო შეხვედრებისათვის, შენობებისა
და საარჩევნო ბეჭდვითი სააგიტაციო მასალების (პლაკატების)
გასაკრავი ადგილების გამოყოფის თაობაზე

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 43-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და „საქართველოს საარჩევნო კოდექსის“ 46-ე მუხლის მე-4 ნაწილის საფუძველზე, ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

მუხლი 1. ქალაქ ქუთაისში, 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებში მონაწილე სუბიექტებისათვის წინასაარჩევნო შეხვედრებისათვის, გამოყოფილ იქნეს შემდეგი შენობები:

ა. ყოფილი კულტურის სახლის შენობა, მისამართი: ავტომშენებლის ქუჩა №33 /მესაკუთრე – თვითმმართველი ქალაქი ქუთაისი/;

ბ. ყოფილი კულტურის სახლის შენობა, მისამართი: გუგუნავას ქუჩა №12. /მესაკუთრე – თვითმმართველი ქალაქი ქუთაისი/;

გ. ყოფილი №39-ე სკოლის შენობა, მისამართი: ნიკეას ქუჩის მე-2 შესახვევი №8 /მესაკუთრე – სახელმწიფო/.

მუხლი 2. 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებში მონაწილე სუბიექტებს ნება დაერთოთ საარჩევნო პერიოდში განათავსონ ბეჭდვითი სააგიტაციო მასალები (პლაკატები) ქალაქ ქუთაისში, წერეთლის ქუჩიდან სადგურის მოედნამდე არსებულ საყრდენ კედელზე.

მუხლი 3. ცნობად იქნეს მიღებული, რომ ბეჭდვითი სააგიტაციო მასალების (პლაკატების) გაკვრა აკრძალულია საკულტო ნაგებობებზე, კულტურული მემკვიდრეობის შენობა-ნაგებობებზე, სახელმწიფო ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების, სასამართლოების, პროკურატურის, სამხედრო შენაერთებისა და პოლიციის შენობების ინტერიერსა და ექსტერიერში, საგზაო ნიშნებზე, აგრეთვე ქალაქ ქუთაისის ტერიტორიაზე არსებულ გარე განათების ბოძებზე, ირ. აბაშიძის გამზირზე, ბაგა–ბაღებისა და სხვა საგანმანათლებო დაწესებულებების შენობებზე, სპორტის სასახლის შენობაზე, მუზეუმების, თეატრებისა და რეაბილიტირებული შენობების ფასადებსა და „ქალაქ ქუთაისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების წესების დამტკიცების შესახებ“ თვითმმართველი ქალაქის ქუთაისის საკრებულოს 2008 წლის 4 აპრილის №153 დადგენილებით დამტკიცებულ პირველ ზონაში არსებული შენობა-ნაგებობების ნებისმიერ ფასადზე.

მუხლი 4. ქალაქ ქუთაისის ტერიტორიაზე ბეჭდვითი სააგიტაციო მასალების (პლაკატების) გაკვრა დასაშვებია თვითმმართველი ქალაქის – ქუთაისის მერიის მიერ საამისოდ განკუთვნილ სტენდებზე, რომლებიც განთავსდეს შემდეგ ადგილებზე:

ა. ავტომშენებლის ქუჩა №33-ის წინამდებარე ტროტუარზე;

ბ. გამარჯვების მოედანზე, ივერიის ღვთისმშობლის ხატის სახელობის ეკლესიის ტერიტორიის წინამდებარე ტროტუარზე (ღობის გასწვრივ, აღმოსავლეთ ნაწილზე);

გ. გალაკტიონ ტაბიძის ქუჩის დასაწყისში, წითელი ხიდის სამხრეთით, ავტოსადგომთან მდებარე სკვერში;

დ. 26 მაისის ქუჩა №43-ში მდებარე შენობის წინამდებარე ტროტუარზე (თვითმმართველი ქალაქის – ქუთაისის საკუთრებაში არსებული ნაწილის წინ);

ე. ლეონიძის ქუჩა №4-ის მიმდებარედ არსებულ ტროტუარზე (ატს-ის შენობის დასავლეთით);

ვ. ლ.ავალიანის ქუჩა №2-ის წინამდებარე ტროტუარზე;

ზ. ახალგაზრდობის გამზირის მე-5 შესახვევში მდებარე თვითმმართველი ერთეულის „მუხნარის“ ტერიტორიული ორგანოს ადმინისტრაციული შენობის მიმდებარე გაზონში;

თ. ანჯაფარიძისა და ფოთის ქუჩების კვეთაზე არსებულ გაზონში (სადერევაციო არხის მიმდებარედ);

ი. ვაჟა-ფშაველასა და კიკვიძის ქუჩების კვეთაზე არსებულ სკვერში;

კ. თაბუკაშვილისა და ოცხელის ქუჩების კვეთაზე, ტროტუართან (არხის მიმდებარე ტერიტორია);

ლ. სულხან-საბას გამზირი №9-ის დასავლეთით არსებულ ტერიტორიაზე;

მ. ნიკეას ქუჩის №32/№34 მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლის აღმოსავლეთით, ქუჩის მოპირდაპირე მხარეს არსებულ გაზონში.

მუხლი 5. ამ გრძანების მე-4 მუხლში მითითებულ მისამართებზე განთავსებულ სტენდებზე საარჩევნო სუბიექტების საარჩევნო პლაკატები დასაშვებია A4 ფორმატის, ხოლო მაჟორიტარის შემთხვევაში A3 ფორმატისა.

მუხლი 6. ქალაქ ქუთაისის მერმა, გ.თევდორაძემ უზრუნველყოს ბეჭდვითი სააგიტაციო მასალების (პლაკატების) გასაკრავი სტენდების დამზადება და ამ გრძანების მე-4 მუხლში მითითებულ ადგილებზე განთავსება.

მუხლი 7. ცნობად იქნეს მიღებული, რომ საარჩევნო სუბიექტები ვალდებულნი არიან, არჩევნების საბოლოო შედეგების ოფიციალურად გამოქვეყნებიდან 15 დღის ვადაში, უზრუნველყონ ბეჭდვითი სააგიტაციო მასალის ჩამოხსნა, წინააღმდეგ შემთხვევაში მათ მიმართ გატარდება საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებები.

მუხლი 8. გრძანების შესრულების კონტროლი განახორციელოს ქალაქ ქუთაისის მერმა, გიორგი თევდორაძემ.

მუხლი 9. გრძანება შეიძლება გასაჩივრდეს, კანონით დადგენილი წესით, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში /ვ.კუპრაძის ქუჩა №11/, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

მუხლი 10. გრძანება ძალაში შევიდეს კანონით დადგენილი წესით.

საკრებულოს თავმჯდომარე ა.ხვადაგიანი